

თიბისი ბანკი ახალ ფილიალს ხსნის და საქმიანობას ავარტოებს

თიბისი პლატინუმი და სტატუს ქარდი – უნიკალური ბარათები

პრეს-რელიზი

2 სექტემბერს, 14:00 საათზე ვაჟა-ფშაველას გამზ. №73-ში თიბისი ბანკის ახალი ფილიალი გაიხსნება. ფილიალის პრეზენტაციასთან ერთად, ჟურნალისტებისთვის მოხდება თიბისი ბანკის ახალი პლასტიკური ბარათების – სტატუს ქარდისა და თიბისი პლატინუმის წარდგენა. პრეზენტაციას ბანკის პრეზიდენტი, ვახტანგ ბუცხრიკიძე და უმაღლესი მენეჯმენტის სხვა წარმომადგენლები ჩაატარებენ.

თიბისი ბანკის ახალი ფილიალი ვაჟა-ფშაველას გამზირზე იმ ახალი სტანდარტების მიხედვით შეიქმნა, რომელიც თიბისი ბანკის ინოვაციას წარმოადგენს ქართულ საბანკო სექტორში. კერძოდ, ეს არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე ტიპის საბანკო ფილიალი, რომელიც მომხმარებელს მომსახურების სრულიად განსხვავებულ ფორმებს სთავაზობს – კლიენტსა და ბანკის თანამშრომელს შორის მოხსნილია ყოველგვარი ბარიერი, კლიენტების მომსახურება მოხდება გახსნილ სივრცეში, სადაც კლიენტი თავისი თვალთ ხედავს მომსახურების პროცესს.

თიბისი ბანკის ახალი ფილიალი პირდაპირ გამოხატავს სლოგანს “ჩემ გვერდით ჩემი ბანკია” – კლიენტი და ბანკის თანამშრომელი გვერდიგვერდ დგანან და ერთად დებულობენ გადაწყვეტილებას. ასეთი დონის საბანკო ფილიალები დღეისათვის მსოფლიოს მხოლოდ რამდენიმე წამყვან ბანკს აქვს (Deutsche Bank, ABN Amro, City Bank და სხვა).

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერთიფიკატი მიენიჭა;
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ კო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების “მომსახურება ბარიერების გარეშე” ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ლიდერული პოზიციები უკავია სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B+, stable
- ◆ Moody’s: B 3 and Ba1

სს თიბისი ბანკი დაფუძნდა 1992 წელს და გამოირჩევა განვითარების ძალზე წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას. 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. თიბისი ბანკის დამფუძნებლები: IFC, DEG და ქართველი კერძო პირები.

თიბისი პლატინუმი – ყველაზე კომფორტული საბანკო ბარათი

ექსკლუზიური დიზაინის, ჩიპური ვიზა ბარათი **თიბისი პლატინუმი** არის საკრედიტო პლასტიკური ბარათი სპეციალურად **VIP** საბანკო მომსახურების კლიენტებისათვის. ბარათზე დაიშვება ავტომატური საკრედიტო ლიმიტი, ხოლო ჩვეულებრივი საკრედიტო ბარათისგან იმით განსხვავდება, რომ **დადებით ნაშთზე პერიცხება მაღალი საპროცენტო სარბეპედი.**

თიბისი პლატინუმი ნაწილობრივ ანაცვლებს და წარმოადგენს **5 სხვა საბანკო მომსახურების ალტერნატივას.** ესენია: სტანდარტული გოლდ ბარათები, საკრედიტო ბარათი, შემნახველი ანაბარი, ანაბარი “ჩემი სეიფი” და მიმდინარე ანგარიში. თიბისი პლატინუმი, რომლის მოქმედების ვადა 4 წელია, განკუთვნილია თიბისი ბანკის **VIP** მომსახურების კლიენტთათვის.

რაც შეეხება პლატინუმ ბარათის დადებით ნაშთზე დარიცხულ **მაღალ საპროცენტო სარბეპედს** – საპროცენტო განაკვეთები შეადგენს: ლარში – 7-10%, დოლარში – 6-9%, სხვა ვალუტაში – 5-8%.

რაც გასაკუთრებით აღსანიშნავია, პლატინუმ ბარათის მფლობელებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ **Visa-ს** სპეციალური შემოთავაზებებით – ამ ბარათის შექენისთანავე მომხმარებელი ავტომატურად გახდება **Visa Platinum Club-ის** წევრი, რაც მას შესაძლებლობას აძლევს ისარგებლოს მრავალი ფასდაკლებითა და უპირატესობებით მთელი მსოფლიოს მასშტაბით, შემდეგ სფეროებში: სასტუმროები და კურორტები, ავია კომპანიები, მოგზაურობა, გამაჯნსადებელი სპა-სალონები და მრავალი სხვა.

Visa Platinum Club-ის პრივილეგიების შესახებ სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ინტერნეტ გვერდზე:

<http://platinumcard.visacemea.com/eng/pl/privileges.asp>

STATUS CARD – მაღალი დარიცხვის ბარათი

ეს არის ასევე მაღალი საპროცენტო სარგებელის დარიცხვის, ექსკლუზიური დიზაინის, ჩიპური, ვიზა/მასტერქარდ გოლდ ბარათი. სტატუს ქარდი, რომელიც წარმოადგენს სადებეტო ბარათს, განკუთვნილია თიბისი ბანკის იმ კლიენტებისათვის, რომლებიც სარგებლობენ **პერსონალური საბანკო მომსახურებით**.

სტატუს ქარდს, პლატინუმის მსგავსად, დადებით ნაშთზე ერიცხება მაღალი საპროცენტო განაკვეთი.

ეს ბარათი ნაწილობრივ ანაცვლებს და წარმოადგენს **4 სხვა საბანკო მომსახურების ალტერნატივას**. ესენია: სტანდარტული სადებეტო ბარათები, შემნახველი ანაბარი, ანაბარი “ჩემი სეიფი” და მიმდინარე ანგარიში.

ბარათის ვადა 4 წელია. მისთვის განსაზღვრულია მულტისავალუტო ანგარიში 3 ვალუტაში – GEL/USD/EUR.

სტატუს ქარდის მფლობელებს ასევე შეუძლიათ ისარგებლონ თიბისი ბანკის პერსონალ ბანკის მომხმარებლებისათვის განკუთვნილი ფასდაკლებებით შესაბამისი ობიექტების ქსელში.

მაღალი დარიცხვის ბარათის, სტატუს ქარდის საპროცენტო სარგებლის განაკვეთები შეადგენს: ლარში – 7-8%, დოლარში – 6-7%, ევროზე – 5-6%.

საპროცენტო სარგებელი ცალ-ცალკე დაერიცხება თითოეულ საბარათე ანგარიშს.